


K 36237  
2



ქართული კრება

ქართული კრება

۱۳۹۸۰۸۰۳۰



## ԱՆՈՒԹԻՒՆ ՑՎԵԱԾՈ

Digitized by srujanika@gmail.com

三月三日正午

K 36.834



“କାରାମିତ୍ତର ମଧ୍ୟ”

1969



1956-3



**ეს ჟურნალის აღმდეგ  
0002-ზე დაცულია**

7-3-4

იაპონიაში დაწესებულია აკუტაგავას სახელობის პრემია. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს ამ მწერლის ხელით წონაზე მშობლიურ ლიტერატურაში.

აკუტაგავამ თავი მოიკლა 1927 წელს, 35 წლის ასაკში. „უსიერ ტყეში“ მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო ფილოსოფიური ნოველათაგანია: ამ ნოველის მიხედვით (მეორე ნოველის — „რასემონის“ ერთი მოტივის ჩართვით) საქვეყნოდ ცნობილმა იაპონელმა კინორეჟისორმა კუროსავამ გადაიღო ფილმი „რასემონი“.

„ერთი მოთხოვანის ბიგლიოთება“  
კონსტანტინე ლორთქიფანიძის  
რედაქციით

## რა უთხრა სასამართლოს მოხელეს დაპითხვაზე ტყისებრელება

აგრე იყო. გვაძი მე ვიპოვნე. ამ დილით, ტყეში ხეების მოსაჭრელად რომ გახლდით, სწორედ მთის ძირას წავიწყდი მკვდარს. სახელდობრ სადა? იამასინასაკენ მიმავალი გზიდან დაახლოებით ოთხი-ხუთი ტიოს! მანძილზე. ამ უკაცრიელ ადგილას ხარობს ბამბუკი, შიგადაშიგ ნორჩ კრიპტომერიებსაც შეხვდებით. მოკლულს ეცვა ღია ცისფერი სუიკანი,<sup>2</sup> ეხურა გაცვეთილი ქუდი ებოსი.<sup>3</sup> ასეთ ქუდიანს დედაქალაქში თუ შეხვდებით. იწვა გულაღმა. მართალია, მარტო ერთგან იყო დაჭრილი, მაგრამ — სწორედ გულში. გარშემო ხმელი ბამბუკის ფოთლები ისე ჩანდა, თითქო ჭინოვარით გაუღენ-თილაო. არა, სისხლი უკვე აღარ სდიოდა. ეტყობოდა, ჭრილობაში სისხლი შედედებულიყო, ჰო, აი კიდევ რა:

<sup>1</sup> ტომ — 109 მეტრი.

<sup>2</sup> სუიკანი — კიმონოსნაირი სამოსი.

<sup>3</sup> ებოსი — მაღალი ქუდი, წარჩინებული გვარის კაცები იხურავენ.



ჭრილობაზე შეწებებულივით დაკვროდა კრაზაშვილის მიხედვისას. იყო თუ არა ხმალი, ან რამე ამისი მსგავსი? არა, იქ არაფერი მინახავს, მხოლოდ ქრიპტომერის ძირას, გვამთან ახლოს, თოკი ეგდო. და კიდევ... დიახ, დიახ, თოკს გარდა იქვე სავარცხელსაც მოვკარი თვალი. ეს იყო და ეს, რაც კი გვამის ახლოს შევნიშნე — მარტო ეს ორად-ორი ნივთი. გარშემო ბალახი და ფოთლები ძალუმად გახლდათ მოჯევილი. ჩანს, მოკლულმა იოლად არ დასთმო თავისი სიცოცხლე. რაო, იყო თუ არა ცხენი? განა რა ცხენი შესძლებს იქ შელწევას? ცხენისათვის გზა ცოტა მოშორებითაა, იმ უსიერი ტყის იქით.

## რა უთხრა სასამართლოს მოხელეს დაპითხვაზე მოხეტიალე გერმა

მოკლულს შევხვდი გუშინ. გუშინ... მე მგონია, შუადღისას. სადა? სეკიამადან იამასინასაკენ მიმავალ გზაზე. ის ქალთან ერთად მიეშურებოდა სეკიამას. ქალი ცხენზე იჯდა. ეხურა ფართოფართლიანი ქუდი, რიდე ეფარა. ასე რომ, მისი სახე არ დამინახავს. ჩანდა მარტო აბრეშუმის კაბა, ჰავის ფერების არშიით. წაბლისფერ ცხენს ფაფარი შეკრეჭილი ჰქონდა. მაღალი იყო თუ არა? რაღაც ოთხიოდე სუნით<sup>1</sup> თუ იქნებოდა ჩვეულებრივზე მაღალი... მე ბერი ვარ და, ასეთ რამეებში მაინცადამაინც ვერ ვერკვევი. მამაკაცს... ჰო, ხმალი ერტყა,

<sup>1</sup> სუნი — 3,3 სანტიმეტრი.



ზურგზე კი მოგდებული ჰქონდა მშვილდისარი. ახლა უკურნებელი  
თვალშინ მიღებას, შავად გალაქული ბუდიდან ოცაძლე  
თავამყოფილი ისარი. მე არც კი დამესიზმრებოდა,  
რომ ის ასე დაამთავრებდა თავის სიცოცხლეს. ჰეშმარი-  
ტად, რა თვალის დახამხამებაში ქრება აღამიანის სი-  
ცოცხლე, თითქოს ცვარი იყოს, ან ელვა. ოო, წარმოუდ-  
გენელია, აღამიანის ენამ მოახერხოს იმის გამოთქმა, თუ  
რა სავალალოა ეს ყველაფერი.

## რა უთხრა სასახართლოს მოხელეს დაკითხვაზე ჩაფარხა

მე რომ კაცი შევიპყარი? ის ხომ სახელგანთქმული  
ავაზაყი ტაძემარუა. ხელი მაშინ ვტაცე, ცხენიდან გად-  
მოვარდნილი, ავდაგუტთან ქვის ხილზე რომ ეგდო და,  
ჰვოდებდა. როდის? გუშინღამ, პირველი ყარაულო-  
ბის ყამს. ამას წინათაც კინაღამ შევიპყარი, მაშინ იგივე  
ლურჯი სუიკანი ეცვა და ზურგს უკან ხმალი გაერჭო.  
ახლა კი, როგორც ხედავთ, მშვილდისარიც აქვს. წარ-  
მოგიდგენიათ? ეს ხომ იმ მოკლულის მშვილდისარია!  
თქმა არ უნდა, მკვლელობა ტაძემარუს ჩადენილია.  
ტყავგადაკრული მშვილდი, შავად გალაქული კაპარჭი  
ქორისფრთიანი ჩვიდმეტი ისრით, მშვასადამე, ეს ყველა-  
ფერი მოკლულის საკუთრება იყო. პო, ცხენი, როგორც  
თქვენ ბრძანეთ, იყო წითური, ფაფარშეჭრილი, ეტყო-  
ბა, ასეთი ყოფილა ტაძემარუს ბედი — ცხენს გაღმოუგ-

დია. ცხენი ხიდის ახლოს წიწკნიდა ბალახს, უკან აჭრებულ  
ლი სადაცე მისთრევდა.

ეს ტაძემარუ, სხვა ავაზაკებისაგან განსხვავებით,  
რომლებიც დედაქალაქში დაეხეტებიან, ქალების ნამდვი-  
ლი მუსუსია. გახსოვთ, შარშან მთაზე, ბინძურუსადმი  
შეწირული აკიტორიბეს ტაძრის უკან მლოცველი ქა-  
ლი რომ მოკლეს გოგონასთან ერთად? იი, სწორედ,  
ლაპარაკობდნენ, ეს ტაძემარუს ჩადენილიაო. და ის ქა-  
ლიც, წაბლისფერი ცხენით რომ მიღიოდა, — ვთქვათ,  
მამაკაცი ტაძემარუმ მოკლა, ქალი რა იქნა? არავინ  
იცის. ბოდიში, რომ საქმეში ასე ვერევი, მაგრამ საჭიროა  
თუ არა გამოძიება?

## რა უთხრა სასამართლოს მოხელეს დაკითხვაზე მოხუცეა ჩალაა

ეს სწორედ იმ კაცის გვამია, ვისზედაც გათხოვილი  
იყო ჩემი ქალიშვილი. მაგრამ ის დედაქალაქიდან არ გახ-  
ლავთ. ვაკასაში რომ კოყუფუა, იქაური სამურაია. მისი  
სახელია კანაძავა ტაკეპირო, ოცდაექვსი წლისა. არა,  
მას არ შეეძლო ვინმეს წყენინება, მეტად თვინიერი  
იყო. ჩემს ქალიშვილს კი მასაგო ჰქვია, ცხრამეტი წლი-  
საა, თამამია. მამაკაცს არ ჩამოუვარდება. ტაკეპიროსთან  
შეხვედრამდე არავინ ჰყვარებია. შავგვრემანია, მარც-  
ხენა თვალის კუთხეში ხალი აჩნია. პატარა, მოგრძო სახე  
აქვს.

გუშინ ტაკეპირო ჩემი ქალიშვილითურთ გაემგზავრა

ვაკასიას. ნეტავი რა შევცოდეთ ღმერთს, რომ ასეული უბედურება დაგვატეხა თავს. რა დაემართა ჩემს ქალიშვილს? სიძის ხვედრს, მართალია, შევურიგდი, მაგრამ ქალიშვილზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევს. მე, მოხუცი, გვევდრებით, ღვთის გულისათვის, გადაჩერიკოთ ტყეები და ველები, იქნებ როგორმე მიაკვლიოთ ჩემს ქალიშვილს. რა ღვთისაგან წყეულია ეგ ავაზაკი, ტაძე-მარუ თუ რას ეძახიან! განა მარტო სიძე, ჩემი ქალიშვილიც ხომ.... (ტირის, ძალა აღარ ჰყოფნის, თქვას თუნდაც ერთი სიტყვა).

### ტაძემარუ აღიარება

ეს კაცი მე მოვკალი. ქალი კი არ მომიკლავს. არც ის ვიცი, სად უნდა გადაკარგულიყო. მაცალეთ! რამდენიც არ უნდა მაწამოთ, რაც არ ვიცი, როგორ გითხრათ. ესეც არ იყოს, რაფი ასე მოხდა, უკვე ვეღარც შიში ამიტანს, და აღარც არაფრის დაფარვა მსურს.

იმ კაცსა და მის ცოლს სამხრობისას შევხვდი. ქარმა, ის იყო, აბრეშუმის საბურევლი ააფრიალა და ერთი წამით გამოჩენდა იმ ქალის სახე. ერთი წამით გაიელვა და ისევ დაიმალა. და იქნებ სწორედ ამის გამოც მისი სახე მომეჩვენა ბოდისატვას<sup>1</sup> ხატებად. მომეჩვენა. მაშინვე გაღავწყვიტე დამემორჩილებინა ეს ქალი, თუნდაც ამისათვის მისი ქმრის მოკვლა დამჭირვებოდა. თქვენ ეს საშინელებად მიგაჩნიათ, არა? პირიქით, სასაცილოა.

<sup>1</sup> ბოდისატვა — ბუდას პანთეონის ღვთაებათა კატეგორიაა.



მამაკაცის მოქვლა ჩვეულებრივი ამბავია. როცა შემომავა  
დასაკუთრება სურთ, მამაკაცს ყოველთვის კლავენ. მხოლოდ მე ვკლავ ხმლით, თქვენ კი ამ შემთხვევაში  
ხმალს არ მიმართავთ, თქვენ კლავთ ძალაუფლების,  
ფულის საშუალებით, ზოგჯერ კი უბრალო მლიქვნელუ-  
რი სიტყვით. მართალია, ამ შემთხვევაში სისხლი არ  
იღვრება, მამაკაცი უვნებელი ჩანს, მაგრამ ის თქვენი  
მოკლულია. და ვინ იცის, კაცი რომ დაუფიქრდეს, ვისი  
დანაშაული უფრო მძიმეა, თქვენი, თუ ჩემი (ირონიული  
ღიმილი).

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, მე უკმაყოფილო ვიქ-  
ნებოდი, თუკი შევძლებდი ქალის ისე დამორჩილებას,  
რომ მამაკაცი არ შემომაკვდებოდა. ამჯერად გადავწყ-  
ვიტე, ქალს ისე დავუფლებოდი, მკვლელობა არ ჩამედი-  
ნა. მაგრამ გზაზე, სადაც ხალხი მიდი-მოდის, ამას რო-  
გორ მოახერხებ! ამიტომაც მოვიფიქრე, როგორ შემეტ-  
ყუებინა ისინი ტყის სილრმეში. ეს ადვილად შევძელი,  
თანამგზავრივით ავედევნე მათ და ვუამბე, მოპირდაპი-  
რე მხარეს, მთაში ჩემი გათხრილი ყორლანია; ყორლან-  
ში უამრავი სარქე და ხმალი ვიპოვნე, ეს ყველაფერი  
ტყეში ჩაფიქრო რომ არავის ენახა. და თუკი მსურველს  
ვიპოვნი, იაფად მიეყიდი-მეთქი.

ვატყობდი, მამაკაცი დავაინტერესე. აბა, რა გეგო-  
ნათ! საშინელი რამაა სიხარბე. ნახევარი საათიც არ გა-  
სულა, რომ მათ მოაბრუნეს ცხენი და ჩემთან ერთად  
დაადგნენ მთის ბილიკს. ტყეს რომ მივადექით, ვუთხა-  
რი, რომ ის ნივთები ჩაფიქრო მაქვს უსიერი ტყის  
სილრმეში და შევთავაზე წამომყოლოდნენ სანახავად.



მამაკაცს მოსვენებას არ აძლევდა სიხარბე და, რასაკვირ-  
ველია, უარი არ უთქვამს. ქალმა კი არ მოისურვებია ცა-  
ცხენიდან ჩამოსვლა, არც წამოყოლა. თქვა — მე აქ მო-  
გიცდითო. მისი ასეთი გადაწყვეტილება უთუოდ წინდა-  
ხედულებით იყო ნაკარინახევი. ხედავდა, რომ ტყე ძალ-  
ზე დაბურული იყო. მაინც ყველაფერი ისე მოეწყო,  
უკეთესად რომ არ შეიძლებოდა. და მე შევუძეხი მამა-  
კაცს ტყის სიღრმეში. ქალი კი დავტოვეთ მარტო. ეკალ-  
ბარდის განაპირობა მხოლოდ ბამბუკი ხარობდა და, როცა  
ჩვენ გავიარეთ დაახლოებით ნახევარი ტიო, გზადაგზა  
უკვე გვხვდებოდა კრიპტომერიებიც. იმ განზრახვის  
სისრულეში მოსაყვანად, რაც მე მქონდა ჩაფიქრებული,  
უკეთეს ადგილს ვერ იპოვნიდით. გზადაგზა ტოტებს  
აქეთ-იქით ვწევდი, რომ გამევლო და თან დამაჯერებლად  
ვუამბობდი, თითქოს განძი ჩაფლული მქონდა იმ კრიპ-  
ტომერიების ძირას, საითაც ვეშურებოდით. მამაკაცი  
თან მისმენდა, თან მიიჩქაროდა იქით, საღაც ჩანდა იმ  
ხეთა წერწეტი ღეროები. ბამბუკი ახლა იშვიათად, აქა-  
იქ თულა გვხვდებოდა. ჩვენს გარშემო კრიპტომერიები  
შემოჯარულიყვნენ. და აი, აქ მოულოდნელად დავესხი  
თავს ჩემს მსხვერპლს და მიწას დავანარცხე. თვალის და-  
ხამხამებაში ის უკვე ხეზე მიკრული აღმოჩნდა. თოკი?  
სად გინახავთ ყაჩაღი უთოყოდ. თოკი წელზე, ზურგზე  
მეკიდა. ყოველ წუთს შეიძლება დამჭირვებოდა მე-  
სერზე გადასასვლელად. ცხადია, კაცს დაყვირება არ  
შეეძლო. უმაღ პირიც ბამბუკის ჩამოცვენილი ფოთლე-  
ბით გამოვუტენე. ამით მოვრჩი მასზე ზრუნვას. მერე  
დავბრუნდი ქალთან და ვუთხარი, რომ მისი თანამგზავ-

რი თავს შეუძლოდ გრძნობს, საჭიროა ნახოს, შეიტყობულებული  
რა დაემართა. ამჯერადაც ჩემსას მივაღწიე: ქალმაჭურაკებიც ეკა  
სნა თავისი ფართოფართულიანი ქუდი, ჩამჭიდა ხელი და  
შემყვა ტყის სიღრმეში. მივედით იქ, საღაც მისი ქმარი  
ზეზე თოვით იყო მიკრული, ამ სანახაობის ხილვის უმაღლ  
ჩაიყო უბეში ხელი და იძრო პატარა ხანჯალი. არასოდეს  
არ შემხვედრია ასეთი თავზეხელაღებული, მამაცი ქა-  
ლი. რომ არ მემარჯვა, მუცელში დაჭრა არ ამცდებოდა.  
პირველი შემოტევა ავიცილე, მაგრამ ქალი გააფორებით  
იქნევდა და იქნევდა ხანჯალს. სულ ერთი იყო მძიოვის,  
სად მიმარჯვებდა, ოლონდ როგორმე დავეჭერი, მაგრამ  
ტყუილად ვარ ტაძემარუ? ბოლოს და ბოლოს, რო-  
გორც იყო, შევძელი ჩემი ხმლის გაუშიშვლებლად გა-  
მეგდებინებინა მისთვის ხანჯალი. უიარაღოდ დარჩენილ  
ყველაზე ვაჟკაცურ ქალსაც კი არაფერი არ შეუძლია.  
და ბოლოს, როგორც მეწადა, დავიმორჩილე ქალი,  
ქმრის თვალშინ. დიახ, ქმარი სიცოცხლეს არ გამომისალ-  
მებია. მე ამის შემდეგაც არ ვაპირებდი მის მოკვლას.  
მაგრამ წასვლა რომ დაეკირე, აქამდე მიწას გართხმული,  
გულამთსკვნით მტირალი ქალი უცებ გიურვით ზეზე წა-  
მოიჭრა, სახელოში ჩამაფრინდა და სულს ძლივს რომ  
ითქვამდა, იყვირა: „ან შენ უნდა მოკვდე, ან ჩემი ქმა-  
რი!“. თქვენს შორის ერთ-ერთი უნდა მოკვდეს... ორი  
მამაკაცის წინაშე ასე შერცხვენა ჩემთვის სიკვდილზე  
უარესია. ერთ-ერთი თქვენგანი უნდა მოკვდეს. მე კი  
მას გავკვები, ვინც ცოცხალი დარჩება“. და აი სწორედ  
მაშინ, აღმეძრა სურვილი იმ მამაკაცის მოკვლისა (პირ-  
ქუში და აღგზნებული ლაპარაკობს).



ამას რომ ვამბობ, თქვენ, უიშველია, დაუნდოოჭელა არა  
აღამიანად მიგაჩნივართ. შეიძლება ასე მოგეჩვეროთ,  
რადგან არ გინახავთ იმ ქალის გამომეტყველება. იმი-  
ტომ, რომ თქვენ არ გინახავთ მისი ანთებული მზერა.  
როდესაც თვალი შევავლე, ერთბაშად ამიტანა სურვილ-  
მა, ის ჩემი ცოლი გამხდარიყო, თუნდაც ამისათვის ცის  
რისხევა დამტყდომოდა და იქვე სული გამეცხო. ცოლად  
შემერთო ქალი — მხოლოდ ეს აზრი მიტრიალებდა  
თავში. არა, ეს არ იყო ავხორცობით ნაკარნახევი, რო-  
გორც შეიძლება თქვენ ფიქრობდეთ. მარტო ავხორცო-  
ბის უინათ რომ ყოფილიყო ეს ოძრული, გეფიცებით,  
კინწისკვრით მოვიშორებდი იმ ქალს და წავიდოდი. მა-  
შინ არც იმ მამაკაცს მოუწევდა თავისი სისხლით ჩემი  
ხმლის შეღებვა. მაგრამ იმ წამს, როცა ტყის ბინდბუნდ-  
ში ქალის სახეს კარგად დავაკვირდი, უმალ გადავწყვი-  
ტე, რომ აქედან ფეხს არ მოვიცვლიდი, სანამ კაცს არ  
მოვკლავდი.

თუმცა მისი მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ არ მინ-  
დოდა ეს ჩამედინა ლაჩრულად. თოკი შევხსენი და  
ვუთხარი — ერთმანეთს ხმალდახმალ შევებრძოლოთ-  
მეთქი. ხის ფესვებთან რომ თოკი იპოვნეს, სწორედ ის  
იყო, ზაშინ იქ რომ დავაგდე. სახეშეშლილმა მამაკაცმა  
უმალ იძრო თავისი მძიმე ხმალი და შეცა. რა საჭიროა  
იმის მოყოლა, თუ რით გათავდა ის ბრძოლა. ოცდამესა-  
მე მოქნევაზე — გთხოვთ ამას ნუ დაივიწყებთ, აქამდე  
მიკვირს: მთელ ქვეყნიერებაზე მხოლოდ მან ერთადერთმა  
შესძლო თავისი ხმალი ოცდასამჯერ გადაეჭვარედინე-  
ბინა ჩემს ხმალთან (მხიარული ღიმილი).



როგორც კი დაუცა, ხმალგასისხლიანებული უმოქმედული  
 რუნდი ქალისაკენ, მაგრამ წარმოიდგინეთ, ის აღარსაღ  
 იყო. დავიწყე ძებნა ტყეში. ძირს დაცვენილი ბამბუკის  
 ფოთლებს კვალის ნასახიც არ აჩნდა. დროდადრო და-  
 უურადებულს მესმოდა მომაჯვდავი მამაკაცის ხროტინი.  
 ალბათ, როცა ჩვენ ხმალდახმალ შევებით ერთმანეთს,  
 ქალმა დრო იხელთა და ტყიდან გაიქცა, იქნებ უნდოდა  
 საშველად ვინმესთვის ეხმო. როგორც კი ამ აზრმა გა-  
 შიელვა, მივხვდი, საფრთხეში ვიყავი. ავართვი მოქ-  
 ლულს ხმალი, მშვილდი, ისრები და გავედი ბილიკზე. იქ  
 წინანდებურად წიწქნიდა ბალახს იმ ქალის ცხენი. იმაზე  
 ლაპარაკი, თუ რა მოხდა შემდეგ, ლაყბობა იქნება და  
 მეტი არაფერი. მხოლოდ აი რა: დედაქალაქში შესვლის  
 წინ ის ხმალი უკვე თან აღარ მქონდა. ეს არის და ეს  
 მთელი ჩემი აღსაჩება. გთხოვთ ისე სასტიკად დამსაჭოთ,  
 მეტი რომ აღარ შეიძლებოდეს. განა არ ვიცოდი, როდის-  
 მე ჩემს გოგრას რომ მოუწევდა მაღალი ბოჭის წვეტზე  
 შემოსკუპება (გამომწვევი მზერა).

## რა თევა ჩალეა აღსარებაზე კითხიძუს / ტაძარში

მე რომ დამიმორჩილა, ის ლურჯსამოსიანი მამაკაცი  
 მიბრუნდა გაბაშრული ჩემი ქმრისაკენ და ერთი დამ-  
 ცინავად გადაიხარხარა. რა ძნელი ასატანი იყო ალბათ  
 ეს ჩემი ქმრისათვის. მაგრამ, რაც უფრო იგრიხებოდა და  
 წვალობდა გასათავისუფლებლად, მით უფრო ღრმად ეჭ-



დობოდა ხორცი ისედაც მჭიდროდ შემოჭერილი თვალისწილებული მე უნებლიერ გავიშიე მისკენ, არა, დავაპირე. მაგრამ უნებლიერი კაცმა პანლურით უმაღ მიწას დამანარცხა და, სწორედ მაშინ მოხდა ეს. სწორედ ამ დროს ქმრის თვალებში მე შევნიშნე რაღაც უცნაური ელვარება, აუწერელი... ახლაც კი, როცა ის გამოხედვა გამახსენდება, ისევ ისე მაერუოლებს და ძალა არ მყოფნის ენის მოსაბრუნებლად. ქმრის იმ ერთ გამოხედვაში მთელი მისი სული და გული გადმოშლილიყო. მის თვალებში შეგეძლოთ ამოგეკითხათ არა გულისწყრომა ან ტანჯვა, ისინი ელავდნენ ჩემდამი უსაზღვრო სიძულვილით. აი, რას გამოხატავდნენ მისი თვალები. არა იმ მამაკაცის პანლურით, არამედ ამ საშინელი გამოხედვით შეძრწუნებულმა, თავგანწირულივით შევკივლე და ცნობაც დავკარგე. გონს რომ ზოვედი, ის ლურჯსამოსიანი მამაკაცი იქ აღარ იყო.

ჩემი ქმარი ისევ ისე ხეზე იყო თოკით მიკრული. ძლივს ავითრიე წელი მიწაზე დაფენილი ბამბუქის ფოთლებიდან, გაშტერებით შევაცქერდი სახეში. მისი გამოხედვა ოდნავაც არ შეცვლილა. თვალები წინანდებურად ლალადებდნენ იდუმალ ზიზღას და სიძულვილს. არ ვიცი, როგორ გამოვთქვა, რა ვიგრძენი მაშინ... სირცხვილიც, სევდაც, გულისწყრომაც... ძლივს წამოვდექი და ქვართან მივედი. „მომისმინეთ! იმის შემდეგ, რაც მოხდა, არ შემიძლია თქვენთან დარჩენა. გადავწყვიტეთ თვი მოვიყლა, მაგრამ.. უნდა მოკვდეთ თქვენც. თქვენ იხილეთ ჩემი შერცხვენა და თავისმოჭრა. ამის შემდეგ არ შემიძლია ცოცხალი დაგტოვოთ“.

აი, რა ვუთხარი ქმარს დიდის გაჭირვებით, ის მაინც



ზიზღით მიცემდა. გული გასკდომაზე მქონდა და <sup>შესაბამისობა</sup> ვლამობდი ჩემი მღელვარების დაოკებას. მის ხმალს და-  
ვუწყე ძებნა, მაგრამ იმ ყაჩალს ყველაფერი გაეტაცნა  
არათუ ხმალი, მშვილდი და ისრებიც აღარსად იყო.  
ჩემდა საბედნიეროდ მხოლოდ ხანგალი ეგდო ჩემს ფერ-  
ხთით. მაღლა შევმართე ის ხანგალი და ქმარი გავაფრთ-  
ხილე: „ახლა მე მოგტაცებთ თქვენ სიცოცხლეს და მეც  
უმალ თან გამოგყვებით“.

ქმარმა ჩემი ნათქვამი რომ გაიგონა, თავს ძალა დაა-  
ტანა და მხოლოდ ტუჩები შეარჩია. რა თქმა უნდა, ხმის  
ამოღება <sup>არ</sup> შეეძლო: პირი ბამბუქის ფოთლებით ჰქონ-  
და გამოტენილი. მაგრამ როდესაც მისი ტუჩების მოძ-  
რაობას დავაკვირდი, მივხვდი, რაცა თქვა ზიზღით:  
„მომკალი“.

გონდაკარგულმა ღრმად ვაძგერე ხანგალი ღია ცის-  
ფერი სამოსით დაფარულ მკერდში. ალბათ ამ წუთას  
ისევ დავკარგე გრძნობა. გონს რომ მოვედი, მივიხედ-  
მოვიხედე. ქმარი ისევ იმ მდგომარეობაში იყო უძრავად.  
უკვე აღარ სუნთქვდა. მის გაფითრებულ სახეს დაპუე-  
ნოდა ჩამავალი მზის შუქი, რომელსაც გამოეღწია ბამ-  
ბუქის ღეროებთან გადახლართული კრიპტომერიის ტო-  
ტებისა და ფოთლების სიხშირეში. ტირილით გულამომჯ-  
დარი ვცდილობდი, მოვრეოდი ჩემს თავს. შევხსენი  
გვამს თოვი და, შემდეგ რა დამემართა? ძალა არ მეყო-  
ფა ვთქვა; რა არ მოვიმოქმედე, მაგრამ თავის მოკველა  
ვერ შევძელი. ჯერ ხანგალი მივიბჯინე ყელთან, მერე  
მთის ძირას, ტბაში თავის დახრჩობა ვცადე, მაგრამ არ  
მოვკვდი. ცოცხალი ვარ და ამით სულაც არ შემიძლია

  
ვიამაყო (სევდიანი ღიმილი). მოწყალე, გულშემაჭირხალა  
ვარი ქალღმერთი კნონიც, ეტყობა, არარაობად მოჟღალეობა  
და აკი ზურგიც შემაქცია. რა ვქნა ახლა მე, ჩემი ქმრის  
მკვლელმა, ყაჩაღისაგან ნამუსახდილმა. რა ვიღონო, რა?  
მე... მე... (მოულოდნელი, სასოწარკვეთილი ქვითინი).

## რა თავა ფინასზარმეთზელი ჩალის პირით მოკლულის სულა

ჩემი ცოლის დამორჩილების შემდეგ ყაჩაღი დაჭდა  
მიწაზე მის გვერდით და დაუწყო ნუგეშისცემა. მე, რა  
თქმა უნდა, ხმაჩაწყვეტილი ვიჯექი, პირი ბამბუქის ფოთ-  
ლებით მქონდა გამოტენილი და ხეზე მაგრად ვიყავი  
თოკით მიკრული. წამდაუწუმ ვანიშნებდი თვალით  
ცოლს: „არ დაუჭერო, რასაც გეუბნება, სულ ტყუილია-  
მეთქი.“ ი, რა მინდოდა მისთვის მიმესვედრებინა, მაგ-  
რამ ცოლი იჯდა დამწუხებული და თავს მაღლა არ  
სწევდა, ერთთავად საკუთარ მუხლებს დასცემოდა.  
ღმერთმანი, კაცს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ ის ყურად-  
ღებით უსმენდა იმ ავაზაქს. იმის გაფიქრებაც კი, რომ  
ცოლი მღალატობდა, მტანჯავდა და უმწეოდ ვიკლაკნე-  
ბოდი. ყაჩაღი კი მაცოური სიტყვებით ლამობდა ცოლის  
დაყოლიებას. ნამუსახდილი, სულ ერთია, ქმარს ვეღარ  
შეეგუები. ქმართან ასეთ მდგომარეობაში ყოფნას არა  
სჭობია, ყაჩაღს ცოლად გამომყვეო?

ასე უღირსად ყაჩაღი იმიტომ იქცეოდა, რომ ჩემი  
ცოლი შეუყვარდა. მის თავხედობას თანხმობა მოჰყვა.



ცოლმა ასწია ფიქტით დამძიმებული თავი. არასოდეს მაგრამ მას ის ასე ლამაზი! მაგრამ იცით, რა უთხრა იშ ავაზაკს ჩემმა ტურფა ცოლმა, როცა მის გვერდით გახლდით შებოჭილი? მე ახლა, მართალია, წყვდიადში დავბორიალებ, მაგრამ ყოველთვის, როცა კი მისი პასუხი გამასენდება, აღშფოთება მეუფლება. აი რა უთხრა ცოლმა ავაზაკს — „ჰოდა, წამიყვანეთ სადაც გენებოთ“ (ხანგრძლივი დუმილი).

— მაგრამ ცოლის დანაშაული განა მხოლოდ ეს არის. მარტო ამის გულისათვის მე, ალბათ, წყვდიადში მოხეტიალე, აგრე რიგად არ გავიტანჯებოდი. აი რა მოხდა: ცოლი რსე გაჰყვა ავაზაკს ხელჩაკიდებული, თითქო სიზმარშიაო; და ის იყო ტყიდან უნდა გასულიყო, რომ ერთბაშად მკვდრის ფერმა გადაუარა სახეზე. ყაჩალს მიუბრუნდა და ჩემზე უთხრა: „მოკალი. არ შემიძლია შენთან ყოფნა, სანამ ის ცოცხალია“. მერე შეშლილივით რამდენჯერმე საზარლად ამოიკივლა — „მოკალი“. ეს სიტყვები ახლაც ქარიშხალივით მიმაქროლებს წყვდიადის ჭურლმულებისაკენ. განა როდისმე ადამიანის ბაგეს დასცდენია უფრო მეტი საშინელება? განა როდისმე ადამიანის ყურს სმენია ასეთი ბალწი სიტყვები? განა როდისმე, ერთხელ მაინც (უცარი, გესლიანი ხარხარი). მისი სიტყვების გაგონებაზე ავაზაკიც კი გაფითრდა. „მოკალი!“ — გაჰკიოდა ცოლი და თან მის სახელოს ებლაუჭებოდა. ავაზაკმა თვალი გაუშტერა ქალს, მაგრამ არც ჰო უთქვამს, არც არა, და უცებ წიხლის კვრით მიაგდო ჩამოცვივნულ ფოთლებზე (კვლავ გესლიანი ხარხარი). გულზეხელდაკრეფილი ავაზაკი ახლა ჩემკენ მობრუნდა: „რა ვუყოთ

ამ ქალს? მოვკლათ, თუ ვაპატიოთ? პასუხად მარტო შეკრიცებული ვი დამიქნიეთ. მოვკლათ?“ მარტო ამ სიტყვებისათვის მზადა ვარ იმ ავაზაკს ყველაფერი ვაპატიო (კვლავ ხანგრძლივ დუმილი).

სანამ მე კუყიმანობდი, ცოლმა ერთი უეცრად შეჰკივლა და ტყის სიღრმეში მიიმალა. ავაზაკი უმალ და-ედევნა, მაგრამ ეტყობა, ვერ მოასწრო ხელი ეტაცნა მის-თვის თუნდაც სახელოში.


ეს ყველაფერი იმ წუთში სიცხიანის ბოდვა მეგონა.

როცა ცოლი გაიქცა, ყაჩალმა აიღო ჩემი ხმალი, მშეილდი, ძსრები, მერე ერთგან გადაჭრა თოვი, რითაც მიბმული ვიყავი ხეზე. მახსოვს, სანამ ტყეში გაუჩინარ-დებოდა, როგორ ჩაილაპარაკა თავისითვის: ახლა კი დროა, ჩემს თავზედაც ვიფიქროთ.

როცა ის წავიდა, ირგვლივ სიჩუმე გამეფდა. არა, ყველგან არა, სადღაც ახლოს კვლავ ისმოდა ვიღაცის ქვეითინი. თოვს რომ ვიხსნიდი, დავაყურადე და მივხვდი, ეს მე ვქვეითინებდი თურმე (მესამეჯერ ხანგრძლივი დუმილი).

ბოლოს ძლიერ მოვაცილე ხეს ჩემი გატანჯული სხეული. უცებ თვალი მომშრა ხანჯლის ელვარებამ, რომელიც ცოლს დაკარგოდა და ახლა ჩემს წინ ეგდო. ავიღე ხანჯალი და ერთი მოქნევით დავიკარ გულში. ვიგრძენი, როგორ მომაწვა ყელში სისხლი რაღაც გორგალი-სებურად, მაგრამ არავითარი ტანჯვის მსგავსი ამით არ განმიცდია. როცა ჩემი გული გაცივდა, ირგვლივ კიდევ უფრო მეტი მყუდროება ჩამოწვა. ო, რა სიჩუმე იყო ეს სიჩუმე! აქ, ამ ტყეში ახლა ერთი ჩიტიც კი არ გალობდა.

2. აკუტაგავა



მხოლოდ კრიპტომერიისა და ბამბუქის ღეროებს უკარა-  
ყებდა ჩამავალი მზის სევდისმომგვრელი შუქანისამერ  
ვალი მზისა... მაგრამ ისიც სულ უფრო და უფრო მიძ-  
ლია. მალე ყველაფერი გაუჩინარდა: ხეებიც, ბამბუქიც.  
და მეც მიწაზე განრთხმული გავეხვივ ამ სამარისებური  
მყუდროების სუდარაში. სწორედ ამ დროს, ვიღაც ფე-  
ხაკრეფით მოიპარა ჩემთან. მინდოდა შემეხედა, ვინ იყო,  
მაგრამ წყვდიადს ირგვლივ ყველაფერი შთანთქა. და  
ვიღაც... ამ ვიღაცამ უხილავი ხელით ფრთხილად ამო-  
მაძრო გულში ჩარჭობილი ხანგალი. იმავე წუთს პირი  
კვლავ ამივსო თქრიალით წამოსულმა სისხლმა. ამის  
შემდეგ საუკუნოდ მშთანთქა არყოფნის წყვდიადმა.

## «БИБЛИОТЕКА ОДНОГО РАССКАЗА»

Акутагава

В чаще

(На грузинском языке)

Детюониздат Грузинской ССР

«Накадули»

Тбилиси

1969

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/III-59 წ.

ქაღალდის ზომა  $70 \times 108^1/32$

ნაბეჭდი თაბაზი 0,63

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 0,74

ტირაჟი 20.000 შეკვ. № 214

ფასი 7 გაზ.

გამომცემლობა „ნაკადული”, მარჯანიშვილის ქ. № 5

Изд. «Накадули», ул. Марджанишвили, № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდებითი ხიტუვის  
ცახელშირითი კომიტეტის მთავარპირდამერუწყველობის სტამბა № 2.

„ნაკადული”, თბილისი ფურცელაძის ქ. № 5

Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома Госу-  
дарственного Комитета Совета Министров Грузинской ССР  
по печати, Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5

